F 133
1937

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. ნოემბრის 20. № 17 თბილისი.

შინაარსი

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა.

121. 1938 წელს ჯიშიანი კარტოფილის თესვის გეგმის შესახებ.

სათესზაო და სანადირო მეურნეობა.

122. საქართველოს სსრ ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში ხოხბებზე ნადირობის ნებადართვის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

123. 1937 წლის მოსავლის კარტოფილის დამზადების და გამოყენების გეგმის შესახებ.

124. მანდარინის დამზადების გეგმის შესახებ.

125. საქართველოს სსრ ძირითადი დამამზადებლებისა და თვითდამამზადებლებისათვის 1938 წლისათვის ტყესაკაფთა გამოყოფის და დახერხილი ხე-ტყის მასალის რეალიზაციის წესის შესახებ.

ტრანსპორტი.

126. სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის წარმოების შესახებ ავტო-სატრანსპორტო მეურნეობის აფხაზეთისა და აჭარის კონტორების სახელოსნოებში.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

127. „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარების ღონის ძიებათა შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

128. საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოსთან არსებული მინერალური წყლების სახელმწიფო ტრესტის („საქმინწყლების“) ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ ... თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა

121. დადგენილება ს. კ. ს.

1938 წელს ჯიშიანი კარტოფილის თესვის გეგმის შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 23 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად „1938 წელს ჯიშიანი კარტოფილის თესვის გეგმის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 70, მუხ. 332) და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 20 აგვისტოს დადგენილების შესაცვლელად „კარტოფილის კულტურის მეთესლეობის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 100) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ჯიშიანი კარტოფილის თესვის გეგმა 1938 წლის გაზაფხულისათვის 2500 ჰექტარის რაოდენობით, აქედან სათესლეებზე 1100 ჰექტარის რაოდენობით და განაწილდეს იგი ცალკეულ რაიონებს შორის, თანახმად № 1 დანართისა.

2. ამ დადგენილებით დაწესებული გეგმა ჯიშიანი კარტოფილის თესვისა უზრუნველყოფილ იქნას ჯიშიანი აპრობირებული თესლით, თანახმად რაიონებს შორის თანდართული განაწილებისა:

ა) კოლმეურნეობათა 1.200 ტონა საკუთარი ჯიშიანი თესლის გამოყენების ხარჯზე;

ბ) რიგითი კარტოფილის ხარისხოვანზე საკოლმეურნეობათაშორისო გადაცვლის გზით 2.450 ტონის რაოდენობით;

გ) იმ დამზადებებისაგან, რომლებსაც საქსახჯიშფონდი ატარებს, 1.350 ტონის რაოდენობით, აქედან 150 ტონა ახალციხის რაიონში სახელმწიფო შესყიდვის მიხედვით.

3. დაევალოს საქსახჯიშფონდს—უზრუნველყოს ჯიშიანი კარტოფილის გადაგზავნა ახალციხიდან აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში 1937 წლის 15 ნოემბრამდე.

ხაშურის	რაიონისათვის	სადგ.	ხაშური
გორის	„	„	გორი
კასპის	„	„	კასპი
ბორჯომის	„	„	ბორჯომი, ბაკურიანი
სიღნაღის	„	„	წნორის-წყალი
თბილისის	„	„	თბილისი, მცხეთა
აღბულახის	„	„	ნავთლუღი, სანდარი
საგარეჯოს	„	„	საგარეჯო

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისათვის გორი, კასპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და აღნიშნული რაიონების რაიაღმასკომებს მოაწყონ ჯიშიანი კარტოფილის გატანა კოლმეურნეობების მიერ რკინიგზის სადგურებიდან ერთი დღის ვადაში დღიდან შემოსვლისა.

წინადადება მიეცეს ადიგენის და ასპინძის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს 1937 წლის 15 ნოემბრისათვის უზრუნველყონ კარტოფილის გატანა კოლმეურნეობების მიერ საქსახჯიშფონდის ახალციხის ბაზიდან.

4. დაევალოს საქსახჯიშფონდს—უზრუნველყოს „რანნაია როზას" ჯიშის სათესლე კარტოფილის შენახვა 250 ტონის რაოდენობით, რომელიც 1938 წლის გაზაფხულზე უნდა გაიგზავნოს დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და რაიაღმასკომებს:

ა) 15 ნოემბრამდე დაიყვანონ ჯიშიანი კარტოფილის თესვის გეგმა კოლმეურნეობებამდე, გამოჰყონ ამ კოლმეურნეობებში ნაკვეთები ჯიშიანი კარტოფილის სათესლეებისათვის და იმ კოლმეურნეობათა სია, რომლებიც სათესლე კარტოფილის თესვას ეწევიან, წარუდგინონ საქართველოს სსრ მიწსახკომს;

ბ) 10 ნოემბრამდე შეადგინონ რიგითი კარტოფილის ჯიშიან კარტოფილზე საშემოდგომო და საგაზაფხულო საკოლმეურნეობათაშორისო გადაცვლის გეგმა, დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე და ჩაატარონ გადაცვლის ოპერაციები კოლმეურნეობათა მიერ კარტოფილის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებასთან ერთად;

გ) გამოჰყონ ყველა კოლმეურნეობაში სათანადო სადგომები ჯიშიანი კარტოფილის თესლის შესანახად, ამასთან უზრუნველყონ კარტოფილის მთელი სათესლე მასალის ხარისხობრივი შენახვა.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწსახკომს დაუგზავნოს რაიონებს ინსტრუქცია კარტოფილის თესლის შენახვის წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 4. № 1206.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

გ ე გ მ ა

საქართველოს სსრ-ში კარტოფილის ჯიშიან ნათესთა დარგვის რაიონობრივი განაწილებისა, მათ შორის სათესლეებზე 1938 წლის გაზაფხულისათვის

რ ა ი ო ნ ე ბ ი	სულ ჯიშიანი ნათესები ჰექტარობით	მათ შორის სათესლეებზე
1. ახალციხის	1500	300
2. ადიგენის	30	30
3. ასპინძის	30	30
4. ხაშურის	70	70
5. გორის	30	30
6. კასპის	30	30
7. ბორჯომის	35	35
8. სიღნაღის	15	15
9. თბილისის	35	35
10. აღბულახის	500	300
11. საგარეჯოს	50	50
12. სამხრეთ-ოსეთის	50	50
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	**2.375**	**975**
13. ქუთაისის	5	5
14. ჭიათურის	25	25
15. ტყიბულის	10	10
16. ონის	20	20
17. ამბროლაურის	10	10
18. აფხაზეთის ასსრ	25	25
19. აჭარის ასსრ	30	30
სულ დასავლეთ საქართველოში	**125**	**125**
სულ რესპუბლიკაში	**2.500**	**1.100**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 7
(ტონებში)

რაიონები	თესლის მოთხოვნილება	დაფარვა		
		საქსახჯიშ-ფონდი	საკოლმეურნეობათაშორისო გადაცვლა	კოლმეურნეობათა საკუთარი თესლი
ახალციხის	3000	—	2100	900
ადიგენის	60	60	—	—
ასპინძის	60	60	—	—
ხაშურის	140	140	—	—
გორის	60	60	—	—
კასპის	60	60	—	—
ბორჯომის	70	70	—	—
სიღნაღის	30	30	—	—
თბილისის	70	70	—	—
აღბულახის	1000	350*)	350	300
საგარეჯოს	100	100	—	—
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	100	100	—	—
ქუთაისის	10	10	—	—
ჭიათურის	50	50	—	—
ტყიბულის	20	20	—	—
ონის	40	40	—	—
ამბროლაურის	20	20	—	—
აფხაზეთის ასსრ	50	50	—	—
აჭარის ასსრ	60	60	—	—
სულ რესპუბლიკაში	**5000**	**1350**	**2450**	**1200**

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

122. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში ხოხბებზე ნადირობის ნებადართვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს მონადირეთა კავშირის წინადადება, რათა ნებადართულ იქნას ხოხბებზე ნადირობა ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში 1937 წლის 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.

2. ერთ მონადირეზე ხოხბის მოკვლის ნორმა დაწესდეს არაუმეტეს 5 ცალისა დღე-ღამეში, რომელთაგან დედალი ხოხობი არაუმეტეს ერთი ცალისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 17. № 1262.

თბილისი.

---

*) აქედან: აღბულახის რაიონში დამზადებიდან — 150 ტონა და ახალციხიდან შემოტანილიდან 200 ტონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება.

123. დადგენილება ს. კ. ს.

1937 წლის მოსავლის კარტოფილის დამზადების და გამოყენების გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1937 წლის მოსავლის კარტოფილის დამზადების სახელმწიფო გეგმა სავალდებულო ჩაბარების მიხედვით მთლიანად საქართველოს სსრ-ში 5.500 ტონის რაოდენობით და განაწილდეს იგი რაიონებს შორის (იხ. დანართი № 1).

2. შეუმცირდეს კარტოფილის ჩაბარების ნორმა ახალციხის და აღბულახის რაიონების კოლმეურნეებს 1 ჰექტარზე 14 ცენტნერიდან 12 ცენტნერამდე.

დაწესდეს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა ჩააბარეს კარტოფილი ისეთი რაოდენობით, რაც აღემატება კარტოფილის ჩაბარების მათთვის დაწესებულ ნორმებს, დამამზადებელი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გაასწორონ მათთან ანგარიში ზედმეტად ჩაბარებული კარტოფილისათვის შესყიდვის ფასების მიხედვით.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ-ში 1937 წლის მოსავლის კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა 1.000 ტონის რაოდენობით, ამასთან შესყიდვის გეგმა განაწილდეს რაიონებისა და დამამზადებლების მიხედვით (იხ. დანართი № 2).

4. დამტკიცდეს გეგმა საქართველოს სსრ-ში სავალდებულო ჩაბარების წესით შემოსული კარტოფილის გამოყენებისა 5.500 ტონის რაოდენობით და შემოტანილისა—9.400 ტონის რაოდენობით (ვორონეჟის ოლქიდან 7.000 ტონა, ტამბოვის ოლქიდან—1500 ტონა და ჩრდილო-ოსეთიდან—900 ტონა):

(ტონობით)

	ადგილობრივი დამზადებიდან	შემოტანილიდან	ს უ ლ
ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვებისათვის	2305	6395	8700
სპეცდანიშნულებისათვის	995	3005	4000
ჯიშიანი თესლის ნათესებისათვის	1200	—	1200
სახამებელ—ბადაგის მრეწველობისათვის	1000	—	1000

5. ნება დაერთოს რაიონულ ორგანიზაციებს გამოიყენონ ადგილობრივი საჭიროებისათვის იმ სასურსათო კარტოფილის რაოდენობის 10%, რომელიც დამამზადებლებმა შეისყიდეს მოცემულ რაიონში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს 5 დღის ვადაში გაანაწილოს კარტოფილი მოვაჭრე და სამომხმარებლო ორგანიზაციებს შორის საქართველოს სსრ-ში სავალდებულო ჩაბარების წესით შემოსული 2305 ტონა, შემოტანილი სახელმწიფო დამზადებიდან—9400 ტონა, სახელმწიფო დამზადების წესით შემოსული საქ. სსრ-ში—750 ტონა, ვორონეჟის ოლქიდან სახელმწიფო შესყიდვის წესით შემოსული—4000 ტონა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 4. № 1202.
თბილისი.

დანართი № 1

ბ ე ბ მ ა

1937 წლის მოსავლის კარტოფილის დამზადებისა სავალდებულო ჩაბარების სახით

(ტონებში)

დამზადების რაიონები	სულ	აქედან		
		საქხილბოსტანი	საქსახჯიშ-ფონდი	ახალციხის ადგილობრივი მრეწველობა
1. ახალციხის	2150	—	1050	2100
2. ადიგენის	250	—	—	250
3. ასპინძის	200	—	—	200
4. ხაშურის	150	150	—	—
5. ბორჯომის	200	200	—	—
6. ბორჩალოს	120	120	—	—
7. ლუქსემბურგის	250	250	—	—
8. წალკის	450	450	—	—
9. აღბულახის	800	650	150	—
10. საგარეჯოს	100	100	—	—
11. ბაშკიჩეთის	450	450	—	—
12. თიანეთის	150	150	—	—
13. ონის	100	100	—	—
14. აჭარის ასსრ (ხულოს რაიონი) . . .	130	130	—	—
	5500	**2750**	**1200**	**1550**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

დანართი № 2

1937 წლის მოსავლის კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვისა

(ტონებში)

დამზადების რაიონები	სულ	აქედან:		
		სამომხ. კოოპერაცია	საქსახჯიშ-ფონდი	ახალციხის ადგილობრივი მრეწველობა
1. ახალციხის	300	50	150	100
2. ადიგენის	40	40	—	—
3. ასპინძის	40	40	—	—
4. ხაშურის	50	50	—	—
5. ბორჯომის	50	50	—	—
6. ბორჩალოს	30	30	—	—
7. ლუქსემბურგის	50	50	—	—
8. წალკის	50	50	—	—
9. აღბულახის	200	200	—	—
10. საგარეჯოს	60	60	—	—
11. ბაშკიჩეთის	80	80	—	—
12. თიანეთის	50	50	—	—
სულ	1000	750	150	100

124. დადგენილება ს. კ. ს.

მანდარინის დამზადების გეგმის შესახებ.

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად „1937 წ. მოსავლის მანდარინის დამზადების გეგმის შესახებ", დაწესდეს საქართველოს სსრ-ში 1937 წლის მოსავლის მანდარინის დამზადების სახელმწიფო გეგმა 280 მილიონი ცალის რაოდენობით, აქედან: კონტრაქტაციით საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში—210 მილიონი და საბჭოთა მეურნეობებში —70 მილიონი ცალი.

2. დამტკიცდეს 1937 წლის მოსავლის მანდარინის დამზადების სახელმწიფო გეგმის განაწილება ავტონომიური რესპუბლიკებისა, რაიონებისა, სექტორებისა და დამამზადებლების მიხედვით (იხ. დანართი).

3. წინადადება მიეცეს აჭარის და აფხაზეთის ასსრ-ის ცაკებს და მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ცხაკაიას და ფოთის რაიონების რაიალმასკომებს ხუთი დღის ვადაში დაიყვანონ მანდარინის დამზადების გეგმა სასოფლო საბჭოებსა, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, და დანარჩენ ორგანიზაციების მეურნეობებამდე, მოაწყონ მანდარინის გულმოდგინე მოკრეფა და დროული ტრანსპორტირება, ამასთან არ დაუშვან მისი გაფუჭება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 11. № 1226.

თბილისი.

1937 წლის მოსავლის მანდარინის დამზადების სახელმწიფო გეგმა

(მილიონ ცალებში)

ავტ. რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	დამზადების სახელმწ. გეგმა			აქედან დამამზადებლების მიხედვით						
	საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში	საბჭოთა მეურნეობებში	ს უ ლ	საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში			საბჭოთა მეურნეობებში			
				„გლავკონსერვი“ საქხილკონსერვ-ტრესტი	ცენტრ. სამომხ. საზ. ცეკავშირი	„აზსოიუზზაგოტ.“	აჭარის მიწსახკომის საბჭ. მეურნ. ტრესტი	საქ. ტრესტი საქართველოს ჩაი	აფხაზეთის საბჭოთა მეურნეობებში (ფსირცხა „ილიჩი“)	ლიმონტრესტი
აჭარის ასსრ	156,0	55,0	211,0	80,8	75,2	—	40,0	15,0	—	—
აფხაზეთის ასსრ	15,0	10,0	25,0	—	8,0	7,0	—	—	10,0	—
მახარაძის	25,0	5,0	30,0	25,0	—	—	—	—	—	5,0
ლანჩხუთის	10,0	—	10,0	—	10,0	—	—	—	—	—
ზუგდიდის	2,0	—	2,0	2,0	—	—	—	—	—	—
ფოთის	0,9	—	0,9	0,9	—	—	—	—	—	—
ცხაკაიას	0,8	—	0,8	—	0,8	—	—	—	—	—
ჩოხატაურის	0,3	—	0,3	0,3	—	—	—	—	—	—
ს უ ლ . . .	210,0	70,0	280,0	109,0	94,0	7,0	40,0	15,0	10,0	5,0

ფურც. 124

ეროვნული ბიბლიოთეკა

125. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ძირითადი დამამზადებლებისა და თვითდამამზადებლებისათვის 1938 წლისათვის ტყესაკაფთა გამოყოფის და დახერხილი ხე-ტყის მასალის რეალიზაციის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ ძირითადი დამამზადებლებისა და თვითდამამზადებლებისათვის 1938 წლის ხე-ტყის მასალის დამზადების გეგმა შემდეგი მოცულობით (მჭიდრო კუბომეტრობით):

საქ. სსრ სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატს . . .	საქმიანი	—107.150
	შეშა	—146.700
ინგურის ქაღალდის კომბინატს	საქმიანი	—108.000
	შეშა	— 5.300
რაიონულ მრეწველობას	საქმიანი	—118.000
	შეშა	— 46.400
საქ. მთავარ საკურორტო სამმართველოს	საქმიანი	— 59.000
	შეშა	— 30.000
საქტყესარეწკავშირს	საქმიანი	— 52.510
	შეშა	— 45.000
აქედან ნახშირის გამოსაწვავად		— 12.000

2. საქმიანი მერქნის და შეშის 1938 წლის თვითდამზადების გეგმა ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებისათვის განისაზღვროს შემდეგი მოცულობით:

ამიერკავკასიის რკინიგზას	საქმიანი	— 7.000
	შეშა	— 75.000
„კავსტროიპუტს“	შეშა	— 5.000
თბილკომმუნმარაგს	საქმიანი	— 500
	შეშა	— 37.000
საქართველოს მიწსახკომს მეცხოველეობის სამმართველოსათვის	საქმიანი	— 25.350
საქართველოს მიწსახკომს მეთამბაქოობის სამმართველოსათვის	საქმიანი	— 48.770
აფხაზეთის მიწსახკომს ოჩემჩირის რაისატყეო მეურნეობისათვის	შეშა	— 3.000
აფხაზეთის მიწსახკომს გუდაუთის რაისატყეო მეურნეობისათვის	შეშა	— 3.000
სუხუმკომუნმარაგს	შეშა	— 17.300

3. საქკონსერვხილტრესტი და საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი შეუთანხმდნენ ერთმანეთს სამეურნეო დამზადებათა ხაზით დაპობილი წიფლის ტკეჩის მიწოდების შესახებ.

4. ლანჩხუთის სატყეო მეურნეობის ოჩარის აგარაკში თბილკომუნმარაგის სატრანსპორტო გზების დატვირთვის მიზნით საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, ნედლეულის შესაძლებლობათა გამორკვევის შემდეგ, გამოჰყოს შეშის ტყესაკაფი 3.000 კბმ., კოლხიდის სატყეო მეურნეობიდან შეშის გაცემის შემცირების ხარჯზე, იმავდროულად შეუთანხმდეს მაგარფოთლოვანი და ძვირფასი ჯიშების მერქანზე თბილკომუნმარაგის საწარმოო მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილების ვადებისა და პირობების შესახებ.

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი განაწილება ტყესაკაფებისა, სატყეო სამრეწველო მეურნეობებსა, სატყეო მეურნეობებსა და სატყეო აგარაკებში სორტიმენტული და ჯიშობრივი განაწილების მიხედვით (დანართი № 1).

6. წინადადება მიეცეს საქ. სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ინგურის ქაღალდის კომბინატს და საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს ტყესაკაფთა გამოყოფა ხე-ტყისა და შეშის დამზადების 1938 წლისათვის დაწესებული გეგმის უზრუნველსაყოფად დაამთავრონ ორი დეკადის ვადაში.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ტყესაკაფთა გამოყოფა საქტყესარეწკავშირისა, თვითდამამზადებლებისა და რაიონული მრეწველობისათვის დაამთავროს ერთი თვის განმავლობაში.

8. დადგენილ იქნას, როგორც წესი, რომ თვითდამამზადებლები დაიშვებიან საქმიანი მერქანისა და შეშის დამზადებაზე მერქნის იმ რაოდენობის ფარგლებში, რაც მათ ფაქტიურად სჭირდებათ საწარმოო მიზნებისა და საკუთარი საჭიროებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვ. ორგანიზაციას, რომელიც ხე-ტყის ექსპლოატაციას ეწევა, გარდა საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის, მთავარ საკურორტო სამმართველოს და საქტყესარეწკავშირის ორგანოებისა, აეკრძალოს საქმიანი მერქნის რეალიზაცია მორების სახით თავისი სისტემისა და გაერთიანების გარეშე.

9. იმ სათბობი შეშის რეალიზაცია, რომელსაც მტკიცე გეგმით ამზადებენ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, მთავარი საკურორტო სამმართველო, საქტყესარეწკავშირი და რაიალმასკომები, საწარმოო მიზნებისა და საკუთარი საჭიროებისათვის მათთვის აუცილებელი რაოდენობის ზევით, ხდება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის განრიგების მიხედვით.

10. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ორი დეკადის ვადაში წარმოადგინოს ტყესაკაფსა და ხე-ტყის ნედლეულის საწყობებში დანაკარგებთან ბრძოლის ღონისძიებანი და მერქნის იმ ნარჩენთა მაქსიმალური უტილიზაციის მიზნით, რომლებიც ხე-ტყის დამზადების დროს გროვდება, შეიმუშაოს სამეურნეო დამზადებათა ოპერატიული გეგმა 1938 წლისათვის და ასეთი დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ოქტომბრის 23. № 1157.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტი.

126. დადგენილება ს. კ. ს.

სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის წარმოების შესახებ ავტოსატრანსპორტო მეურნეობის აფხაზეთისა და აჭარის კონტორების სახელოსნოებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1937 წლის 1 სექტემბრის დადგენილების „სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის წარმოების წესების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 15, მუხ. 110) შესაცვლელად, ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ავტოსატრანსპორტო მეურნეობას აწარმოოს „გაზ" და „ზის" სატვირთო ავტომანქანების კაპიტალური რემონტი ავტოსატრანსპორტო მეურნეობის აფხაზეთისა და აჭარის კონტორების სახელოსნოებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. ოქტომბრის 19. № 1128.

თბილისი.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

127. დადგენილება ს.კ.ს.

„ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების თაობაზე", გამოცემული სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარების ღონისძიებათა შესახებ.

„ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას დროული მზადება საბინაო კოოპერაციული ორგანიზციების ლიკვიდაციისათვის და მათი საბინაო ფონდის გადასაცემად საბინაო სამმართველოებისათვის, რომლებიც საქალაქო საბჭოების კომუნალურ განყოფილებებთან ეწყობა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ბორჯომისა და ახალციხის საქალაქო საბჭოებს საქალაქო ბინათკავშირებთან ერთად შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას საბინაო საიჯარო კოოპერაციის ლიკვიდაციისათვის:

ა) 1937 წლის 15 ნოემბრამდე ჩაატარონ საბინაო საიჯარო კოოპერაციის მთელი იმ საბინაო ფონდის ზუსტი აღრიცხვა, რომელიც საქალაქო საბჭოებს უნდა გადაეცეს;

ბ) უზრუნველყონ საბუხჰალტრო ანგარიშგების თავის დროზე შედგენა საქალაქო ბინათკავშირების სისტემის ხაზით 1937 წლის 1 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ბორჯომის, ახალციხის, ფოთის, მახარაძის, სტალინირის, გურჯაანის, ჭიათურის, ცხაკაიას, ზუგდიდის და გორის საქალაქო საბჭოებს ამ ქალაქების საქალაქო ბინათკავშირებთან და საბინაო საალმშენებლო კოოპერატივებთან ერთად 1937 წლის 15 ნოემბრამდე:

ა) შეადგინონ საბინაო-საალმშენებლო კოოპერაციის მეპაიეთა სიები, რომლებშიაც ზუსტად იქნას აღნიშნული თვითეული მეპაიეს დავალიანება ბანკის სესხების მიხედვით და საკუთარი პაის დაგროვების ოდენობა;

ბ) გამოავლინონ ისეთი საბინაო-საალმშენებლო კოოპერატივები, რომლებზედაც შეიძლება გავრცელებულ იქნას მოქმედება სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენლების მე-4 მუხლისა მათ მიერ აშენებული სახლების მათ განკარგულებაში დატოვების შესახებ იმ პირობით, თუ ისინი 6 თვის განმავლობაში დაფარავენ ბანკის დავალიანებას;

გ) ჩაატარონ საბინაო-საალმშენებლო კოოპერაციის გამგებლობაში არსებული სახლების აღრიცხვა.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს 1937 წლის 15 ნოემბრამდე გამოავლინოს საავარაკო-საალმშენებლო-კოოპერატივები, რომლებზედაც შეიძლება გავრცელებულ იქნას მოქმედება სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების მე-5 მუხლისა მათ მიერ აშენებული იმ აგარაკების მათ განკარგულებაში დატოვების შესახებ, რომლებშიაც დაბანდებულია სახელმწიფო სახსრები მშენებლობის ღირებულების 50%-ზე ნაკლები.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინისგზის ბინათკავშირს მოამზადოს ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული მასალა რკინისგზის საბინაო-საალმშენებლო კოოპერაციის მიერ აშენებული სახლების გადასაცემად სათანადო საქალაქო საბჭოებისათვის მათი ტერიტორიული განლაგების მიხედვით.

5. დაევლოს სახალხო კომისიარატებს და რესპუბლიკურ სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჩაატარონ ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული მოსამზადებელი ღონისძიებანი იმისთვის, რომ საბინაო კოოპერაციული ამხანაგობებისაგან მიღებულ იქნას სამეურნეო ორგანიზაციების მიერ აგებული საბინაო ფონდი, რომელიც გადაეცა საბინაო საიჯარო კოოპერაციულ ამხანაგობებს, თანახმად სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1926 წლის 6 ივლისის დადგენილებისა „საბინაო საიჯარო კოოპერაციული ამხანაგობები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის იმ საცხოვრებელი შენობების გადაცემის შესახებ, რომლებიც აშენებულია სახელმწიფო საწარმოების მიერ ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდების ხარჯზე (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 43, მუხ. 430).

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს 1937 წლის 15 ნოემბრამდე დააზუსტოს იმ დავალიანების სია, რომელიც საბინაო კოოპერაციულ ორგანიზაციებზე ირიცხება, როგორც ცეკომბანკის კრედიტების ხაზით ისე იმ დაფინანსების ნაწილში, რომელსაც თვით კომუნალური ბანკი ანხორციელებს.

7. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული საბინაო კოოპერაციული მშენებლობის 1937 წლის გეგმის შესრულების ჩაშლა და უზრუნველყოფილ იქნას იმ სახლების მშენებლობის დამთავრება, რომელთა საექსპლოატაციოდ გადაცემა განზრახულია მე-IV კვარტალში, წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიონ საალმშენებლო სამუშაოებს, რომლებსაც აწარმოებენ საქალაქო ბინათკავშირები და ცალკეული საბინაო საალმშენებლო კოოპერატივები.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად ტიპიური დებულება საქალაქო საბჭოების საბინაო სამმართველოების შესახებ და დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს შესახებ.

9. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაონ საქალაქო საბჭოების საბინაო სამმართველოთა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს შტატები და განსახილველად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს გაითვალისწინოს 1938 წლის ბიუჯეტში სათანადო ასიგნობანი საბინაო სამმართველოების შესანახად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ოქტომბრის 31. № 1174.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვა

128. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოსთან არსებული მინერალური წყლების სახელმწიფო ტრესტის („საქმინწყლების") ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას 1937 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოსთან არსებული მინერალური წყლების სახელმწიფო ტრესტი („საქმინწყლები"), როგორც ზედმეტი რგოლი, რომელიც მოწყვეტილია თავისი ძირითადი საწარმოებისაგან ბორჯომში და აფერხებს მინერალური წყლების წარმოების განვითარებას.

2. მინერალური წყლების ჩამოსხმის საქმის ოპერატიული და ტექნიკური ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად გაერთიანებულ იქნას ბორჯომის შუშის და ჩამოსასხმელი ქარხნები ერთ ერთეულად—„ბორჯმინწყლების საქარხნო სამმართველოდ".

3. მოეწყოს საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს შემადგენლობაში მინერალური წყლების ჯგუფი ხუთი საშტატო ერთეულისაგან, რომელსაც დაეკისროს საძიებელი სამუშაოების ხელმძღვანელობა, აგრეთვე საქართველოს მინერალური წყლების მოპოებისა და ჩამოსხმის დაგეგმვა.

4. ლიკვიდირებული ტრესტის „საქმინწყლების" კუთვნილი მთელი ქონება და ფასეულობანი, აგრეთვე ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა და გლაუბერის მარილის წარმოება გადაეცეს ბალანსით გაერთიანებულ „ბორჯმინწყლების საქარხნო სამმართველოს".

5. დაწესდეს, რომ კობის ჩამოსასხმელი ქარხანა და „საირმის" ჩამოსხმის წარმოება, რომლებიც ტრესტ „საქმინწყლების" შემადგენლობაში შედიოდნენ, მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი საწარმოები და უშუალოდ ემორჩილებიან საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს.

6. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 5 მარტის დადგენილება № 287 „საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოსთან მინერალური წყლების სახელმწიფო ტრესტის („საქმინწყლების") ორგანიზაციის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 15, მუხ. 97).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1937 წ. ნოემბრის 13. № 1235.

თბილისი.

ფასი 25 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 33. ბ/მ. **რედაქტორი ი. შელეგია**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 23/XI, ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII; ტირაჟი 2.000

მთავლიტის რწმ. № ა-634 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკ. № 1431